

სს “რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო”

ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	5
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები.....	6-14

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „რუსთავის #1 საავადმყოფო“-ს და მისი შვილობილების (ჯგუფი) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:

პაპუნა ბახტაძე

მთავარი ბუღალტერი:

თამარი ნემსაძე

27 სექტემბერი 2021 წელი

საქართველო, რუსთავი



**სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:

პაპუნა ბაზტაძე

მთავარი ბუღალტერი:

თამარი ნემსაძე

27 სექტემბერი 2021 წელი

საქართველო, რუსთავი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2 327 360	2 616 746
არამატერიალური აქტივები	5	7 420	10 389
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 334 780	2 627 135
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	494 590	188 332
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		9 147 470	4 746 837
საგადასახადო აქტივი		214 573	298 559
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		-	8 652
გადახდილი ავანსები		32 754	1 112
ფული და ფულის ექვივალენტები	7	109 233	350 754
სულ მიმდინარე აქტივები		9 998 620	5 594 246
სულ აქტივები		12 333 400	8 221 381
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		6 094 693	4 568 779
სულ კაპიტალი		6 094 693	4 568 779
გრძელვადიანვალდებულებები			
მიღებული სესხები		-	-
სულ გრძელვადიანვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		5 990 698	2 855 895
მიღებული ავანსები		-	440 363
გადასახდელი ხელფასები		248 009	356 344
მიღებული სესხები		-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6 238 707	3 652 602
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12 333 400	8 221 381


დირექტორი:

პაპუნა ბახტაძე



მთავარი ბუღალტერი:

თამარი ნემსაძე



27 სექტემბერი 2021 წელი

საქართველო, რუსთავი



შენიშვნები გვერდებზე 6-14 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2 327 360	2 616 746
არამატერიალური აქტივები	5	7 420	10 389
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 334 780	2 627 135
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	494 590	188 332
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		9 147 470	4 746 837
საგადასახადო აქტივი		214 573	298 559
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		32 754	8 652
გადახდილი ავანსები		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	7	109 233	350 738
სულ მიმდინარე აქტივები		9 998 620	5 593 118
სულ აქტივები		12 333 400	8 220 253
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		6 094 693	4 567 651
სულ კაპიტალი		6 094 693	4 567 651
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		5 990 698	2 855 895
მიღებული ავანსები		-	440 363
გადასახდელი ხელფასები		248 009	356 344
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6 238 707	3 652 602
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12 333 400	8 220 253

დირექტორი:
პაპუნა ბახტაძე

მთავარი ბუღალტერი:
თამარი წემსაძე

27 სექტემბერი 2021 წელი
საქართველო, რუსთავი

შენიშვნები გვერდებზე 6-14 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან		6 841 218	7 319 241
შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება		(3 333 984)	(4 841 483)
ამონაგები მარაგების რეალიზაციიდან		1 107 464	2 658 329
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(1 049 267)	(2 562 725)
ამონაგები იჯარით გაცემული აქტივებიდან		-	10 312
საერთო მოგება		3 565 431	2 583 674
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1 367 621)	(1 407 777)
ფინანსური შემოსავალი		40 597	14 315
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეტო)		-	1 862
მოგება დაბეგვრამდე		2 238 407	1 192 074
მოგების გადასახადი		106 705	-
პერიოდის მოგება		2 131 702	1 192 074
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		2 131 702	1 192 074

დირექტორი:

პაპუნა ბახტაძე

მთავარი ბუღალტერი:

თამარი ნემსაძე

27 სექტემბერი 2021 წელი

საქართველო, რუსთავი



შენიშვნები გვერდებზე 6-14 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან		6 841 218	7 319 241
შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება		(3 333 984)	(4 841 483)
ამონაგები მარაგების რეალიზაციიდან		1 107 464	2 658 329
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(1 049 267)	(2 562 725)
ამონაგები იჯარით გაცემული აქტივებიდან		-	10 312
საერთო მოგება		3 565 431	2 583 674
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1 367 621)	(1 407 749)
ფინანსური შემოსავალი		40 597	14 315
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეტო)		-	1 862
მოგება დაბეგვრამდე		2 238 407	1 192 102
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		2 238 407	1 192 102
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		2 238 407	1 192 102

დირექტორი:
პაპუნა ბახტაძე

მთავარი ბუღალტერი:
თამარი წემსაძე


27 სექტემბერი 2021 წელი
საქართველო, რუსთავი

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის	-	4 582 149	4 582 149
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 192 074	1 192 074
დივიდენდის გატანა	-	(1 205 444)	(1 205 444)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	-	4 568 779	4 568 779
პერიოდის სრული შემოსავალი	-	2 131 702	2 131 702
დივიდენდის გატანა	-	(605 788)	(605 788)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-	6 094 693	6 094 693


დირექტორი:

პაპუნა ბახტაძე



მთავარი ბუღალტერი:

თამარი ნემსაძე



27 სექტემბერი 2021 წელი

საქართველო, რუსთავი



შენიშვნები გვერდებზე 6-14 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

სს “რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო”
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის	-	4 582 149	4 582 149
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 192 102	1 192 102
დივიდენდის გატანა	-	(1 206 600)	(1 206 600)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	-	4 567 651	4 567 651
პერიოდის სრული შემოსავალი	-	2 238 407	2 238 407
დივიდენდის გატანა	-	(711 365)	(711 365)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-	6 094 63	6 094 693

დირექტორი:
პაპუნა ზახტაძე

მთავარი ბუღალტერი:
თამარი ნემსაძე

27 სექტემბერი 2021 წელი
საქართველო, რუსთავი

შენიშვნები გვერდებზე 6-14 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა

სააქციო საზოგადოება „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“ შემდგომში – „კომპანია“ რეგისტრირებულია 1999 წლის 20 დეკემბერს ქ. რუსთავის სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 216296639. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურების გაწევა. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო ქ. რუსთავი, წმინდა ნინოს ქ. #3;

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ერთადერთი პარტნიორი და 100%-იანი წილის მფლობელია შპს „რუსთავის N1 საავადმყოფო“.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1. აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაცია. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია), ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

3.3 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილ გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.4 ამონაგების აღიარება

ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც პაციენტს მიეწოდება სამედიცინო მომსახურება.

საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება. ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ტოლია.

ამონაგების აღიარება იჯარით გაცემული აქტივებიდან ხდება თანაბარზომიერად იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის შემცირებული თანხით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით, გარდა მიწისა, რომელსაც ცვეთა არ ერიცხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 40-50 წელი;
- სამედიცინო ტექნიკა და ინვენტარი 3-10 წელი;
- კომპიუტერები და სხვა საოფისე ინვენტარი 3-7 წელი;
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 3-15 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები 7-10 წელი;
- სხვა ძირითადი საშუალებები 3-15 წელი;

თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივს წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რაც შეადგენს 10 წელს.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.7 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმო სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს აღიარებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შემენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

3.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ასევე, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.9 ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

3.10 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

3.11 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.12 კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანების მუხლში ერთიანდება მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდების შედეგად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული კრედიტორული დავალიანებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც ხარჯს.

3.14 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მაშინ თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც

სს “რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო”
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არაა დაკავშირებული მესაკუთრეებზე განაწილებასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	სამედიცინო ტექნიკა და ინვენტარი	ოფისის ინვენტარი	ავთომობილა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ბალანსი								
31.12.2019	130 172	1 423 960	2 379 033	59 487	207 053	26 000	209 503	4 435 208
შეძენა	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი								
31.12.2020	130 172	1 423 960	2 379 033	59 487	207 053	26 000	209 503	4 435 208
ცვეთა								
ბალანსი								
31.12.2019	-	464 746	1 150 990	36 426	89 413	19 028	57 859	1 818 462
ცვეთა	-	25 025	219 434	6 977	18 654	1 743	17 553	289 386
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი								
31.12.2020	-	489 771	1 370 424	43 403	108 067	20 771	75 412	2 107 848
ბალანსი								
31.12.2019	130 172	959 214	1 228 043	23 061	117 640	6 972	151 644	2 616 746
ბალანსი								
31.12.2020	130 172	934 189	1 008 609	16 084	98 986	5 229	134 091	2 327 360

5. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ბალანსი 31.12.2019	29 687	29 687
შეძენა	-	-
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2020	29 687	29 687
ამორტიზაცია		
ბალანსი 31.12.2019	19 298	19 298
ამორტიზაცია	2 969	2 969
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2020	22 267	22 267
ბალანსი 31.12.2019	10 389	10 389
ბალანსი 31.12.2020	7 420	7 420

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2020	31.12.2019
საქონელი	62 773	98 303
მედიკამენტები/მასალები	412 344	79 177
საწვავი	630	848
ჟანგბადი	18 843	10 004
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები:	494 590	188 332

7. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული საღაროში	1 235	6 128
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	81 563	317 769
აშშ დოლარი რეზიდენტ ბანკში	2 899	23 554
ევრო რეზიდენტ ბანკში	23 536	3 287
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები:	109 233	350 738

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)	505 633	544 120
საოფისე ინვენტარის ხარჯი	-	90
კომუნიკაციის ხარჯი	34 239	46 270
საკანცელარიო ხარჯი	21 685	28 836
სამეურნეო ხარჯი	128 853	79 481
კომპიუტერის ხარჯი	16 277	13 638
კომუნალური ხარჯი	113 099	137 432
ცვეთა და ამორტიზაცია	289 386	296 644
საექსპლუატაციო ხარჯი	9 502	7 074
საწვავის ხარჯი	23 087	27 322
საგადასახადო ხარჯი	23 419	812
საბანკო ხარჯი	559	745
მივლინების ხარჯი	-	7 400
რემონტის ხარჯი	8 778	14 887
წარმომადგენლობითი ხარჯი	6 116	-
საქველმოქმედო ხარჯი	500	-
სხვა ხარჯები	186 488	202 998
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1 367 621	1 407 749

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2021 წლის 27 სექტემბერს.